



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მარტაშვილი შალვა ვასილის ძე

მარტაშვილი შალვა ვასილის ძე (1. V. 1913, სოფ. კარდანახი, ახლანდ. გურჯაანის მუნიციპალიტეტი, – 28. VIII. 1990, თბილისი), კინორეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1967). დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშ. სახელმწ. ინ-ტის სადადგმო ფაკ-ტის სარეჟისორო განყ-ბა (1936). „თბილისის კინოსტუდიის“ ქრონიკის სექტორში გადაიღო 20-ზე მეტი დოკუმენტური ფილმი, მ. შ. „ხუნაგი“ (1936), „საქართველოს კურორტები“ (1939), „აქარის სანაპიროზე“, „მიხეილ კალინინის ჩამოსვლა საქართველოში“ (1940), „მთამსვლელობა“, „მთებში“, „სახლი მწვერვალზე“ (1947), „ნატო ვაჩნაძის იუბილე“, „ალექსანდრე ყაზბეგი“, „ცხოვრება მთაში“, „ნატო ვაჩნაძე“, „ზაქარია ფალიაშვილი“ (1949), „ოქროს მტევნები“ (1951), „საქართველოს რიტმები“ (1971). კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მისი გადაღებულია მხატვრული ფილმები: „მანანა“ (გ. გუდავაძესთან ერთად, 1958), „თხუნელა“ (1962), სატელევიზიო ფილმების სტუდიაში – „მოლანდება“ (გ. ლევაშოვ-თუმანიშვილთან ერთად, 1975). 1957-იდან მუშაობდა უცხოური ფილმების დუბლიაჟის რეჟისორად.

ძ. კერესელიძე